



კომპანია სილქნეტი და საქართველოს კომუნიკაციების სექტორის მიმოხილვა

სილქნეტი
3 დეკემბერი 2019

2019 წლის დასაწყისში კომპანია სილქნეტმა 200 მლნ აშშ დოლარის 5-წლიანი ევროობლიგაცია მოიზიდა. ამ ფასიან ქალაქზე უცხოელ ინვესტორთა დაინტერესება საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, გალტ & თაგარტი აფართოებს ევროობლიგაციების მქონე ქართული კომპანიების დაფარვის არეალს და იწყებს სილქნეტის ფინანსურ მდგომარეობაზე რეგულარული ანგარიშების მომზადებას. ამ მიზნით მომზადდა სილქნეტისა და საქართველოს ტელეკომუნიკაციების სექტორის დეტალური ანალიტიკური ანგარიში.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან საქართველო ერთ-ერთი პირველია, რომელმაც ტელეკომუნიკაციების ბაზრის ლიბერალიზაცია მოახდინა. აღსანიშნავია, რომ ბაზრის თავდაპირველი მოთამაშეები კვლავ წამყვან პოზიციებს ინარჩუნებენ, რაც ბოლო წლებში განხორციელებული კომპანიების შერწყმისა და წილების ყიდვით გახდა შესაძლებელი. ამჟამად, საქართველოს კომუნიკაციების სექტორში მაგთიკომი და სილქნეტი მომხმარებლებს სერვისების სრულ ასორტიმენტს სთავაზობენ, ხოლო ვიონი (ბილანი) ორიენტირებულია მხოლოდ მობილურ კომუნიკაციებზე.

ჩვენი აზრით, საქართველოში როგორც მობილური, ისე ფიქსირებული ბაზარი მიმოხილველია, განსაკუთრებით ევროპულ ქვეყნებთან შედარებით. ჩვენი შეფასებით, საქართველოს კომუნიკაციების ბაზარზე დადებითად იმოქმედებს ქვეყანაში ურბანიზაციის მზარდი ტენდენცია, შინამეურნეობების ზომის შემცირება და მობილური ინტერნეტის მოხმარების მკვეთრი ზრდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მობილური ინტერნეტის მოხმარება მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებს, რაც სექტორის ზრდის პოტენციალზე მიუთითებს. ამასთან, შინამეურნეობების მიერ ფიქსირებული ინტერნეტისა და ფასიანი ტელევიზიის მოხმარება კვლავ დაბალია, განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებში, რაც საშუალოვადიან პერსპექტივაში ასევე ზრდის პოტენციალზე მიანიშნებს. რაც შეეხება ფასიანი ტელევიზიის სექტორს, მის ზრდას საქართველოში პირატული კონტენტი აფერხებს. აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების სახეობებიდან შემცირების ტენდენცია მხოლოდ ფიქსირებულ სატელეფონო მომსახურებას აქვს. აღნიშნული თანხვედრაშია გლობალურ ტენდენციებთან, ვინაიდან მუდმივად მზარდია იმ მომხმარებელთა რიცხვი რომლებიც ფიქსირებულ ტელეფონს მობილურით ანაცვლებენ.

კომპანია სილქნეტი უმსხვილესი ფიქსირებული სატელეფონო მიმწოდებელია საქართველოში და სიდიდით მეორეა ფიქსირებული ინტერნეტის, ფასიანი ტელევიზიისა და მობილური მომსახურების მიწოდებით. 2018 წლის მარტში სილქნეტმა შეიძინა ჯეოსელი. ამ შესყიდვამ, ერთი მხრივ გააუმჯობესა სილქნეტის პოზიციონირება ბაზარზე და მეორე მხრივ გააორმაგა სილქნეტის შემოსავლები.

2019 წლის 2 აპრილს სილქნეტმა წარმატებით განათავსა 200 მლნ აშშ დოლარის ოდენობის 5-წლიანი ევროობლიგაცია, 11%-იანი საპროცენტო განაკვეთით. ევროობლიგაციით მოზიდული თანხების უდიდესი ნაწილი ჯეოსელის შემენისათვის ნაკისრი ვალდებულებების დაფარვას მოხმარდა. ჩვენი ანალიზით, სილქნეტის ფინანსური მაჩვენებლები ევროობლიგაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში შენარჩუნდება საშუალოვადიან პერიოდში. სილქნეტის ჯანსაღ ფინანსურ მდგომარეობას ხელს უწყობს მაღალი მომგებიანობა, ზომიერი ვალდებულებები და შემოსავლების ზრდის პერსპექტივა. ამასთან, კომპანიის ძირითადი გამოწვევები სექტორში არსებულ კონკურენციას და სავალუტო რისკებს უკავშირდება.

სრული კვლევა ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, ჩვენს ვებ-გვერდზე www.gtresearch.ge



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევიტ. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge